საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №50
2019 წლის 27 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 14 სექტემბრის №27 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 14 სექტემბრის №27 ბრძანებაში (ვებგვერდი, 15/09/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010240030.22.026.016325) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების 1^1 მუხლი ამოღებულ იქნეს.

2. ბრძანებით დამტკიცებული დებულების:

ა) მე-2 მუხლის ,,ზ“ - ,,ი“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-3 მუხლის ,,რ“ - ,,ჩ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

გ) მე-4 მუხლის ,,დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ) მე-5 მუხლის მე-10 – მე-13 პუნქტები ამოღებულ იქნეს;

ე) მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შედეგი რედაქციით:

,,ე) ახორციელებს დეპარტამენტში მომზადებული დოკუმენტაციის ვიზირებას ან ხელმოწერას;".

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**